ხელშეკრულება N24
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 06/04/2022 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი: 3, პუნქტი 1, ,,ს1“ ქვეპუნქტი) და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ (მუხლი 2, ,,ა“ ქვეპუნქტი) შესაბამისად, **შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“** (ს/კ 245626684) (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის ნოდარ კონცელიძის სახით და **მეორეს მხრივ შპს „ჰელიოსი“ (ს/კ 445431541)** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის ზვიად მგელაძის სახით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო მეორე-მიმწორებელს.

1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია საქონლის შესყიდვა დანართი N1-ის შესაბამისად გასანათებელი მოწყობილობებისა და ელ.სამეურნეო საქონლის შესყიდვა.

2.2. შესყიდვის ობიექტის ოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ფასების ცხრილში (დანართ N1-ში), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3. კლასიფიკატორის კოდი - CPV31300000 31500000, 31600000, 31700000 ;

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **877.50 (რვაას სამოცდაჩვიდმეტი და 50 თეთრი)** ლარს;

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი;

4. ანგარიშსწორება.

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ , მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) გაფორმებით.

4.3.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) გაფორმებიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. საქონლის მიწოდების პირობები

5.1. მიმწოდებელმა შემსყიდველს საქონელი უნდა მიაწოდოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში.

5.2. მიწოდებული საქონლის დაწუნების შემთხვევაში, მისი შეცვლა ახალი, ხარისხიანი საქონლით უნდა მოხდეს 1(ერთი) დღის განმავლობაში;

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები;

6.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია შპს „აჭარის ნარჩენების მართვის **კომპანიის“ გარემოსა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის თედო დუმბაძე.**

6.3. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მოწოდებული საქონლის დასახელების, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით შედგენილი სასაქონლო ზედნადების და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ;

6.4. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს საქონელი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში;

6.5. თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე, ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად;

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

7.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ;

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით;

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

8.3. შემსყიდველი დარიცხული პირგასამტეხლოს თანხის დაკავებას შესაბამისი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე ახორციელებს მიმწოდებელზე ასანაზღაურებელი მიწოდებული საქონლის ღირებულებიდან;

8.4. იმ შემთხვევაში, თუ დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა აღემატება მიმწოდებელზე ასანაზღაურებელი მიწოდებული საქონლის ღირებულებას, მიმწოდებელი ვალდებულია პირგასამტეხლოს თანხა ჩარიცხოს შეტყობინებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე შეტყობინების მიღებიდან ათი სამუშაო დღის განმავლობაში;

8.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;
9.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ;
9.4. 9.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
9.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე;

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;
10.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
11.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
11.3. ხელშეკრულების 11.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება;
11.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;
12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს;

13. სხვა პირობები

13.1. საქონლის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს;

13.2. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

13.3. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

13.4. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით;

13.5. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება;

13.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე;

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხრიდან ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 31 მაისის ჩათვლით.

14.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება ძალაში რჩება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც;

15. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“
მისამართი: ბათუმი, გორგასალის ქ.124
საბანკო რეკვიზიტები:
სს “ტერა ბანკი“
ბანკის კოდი – TEBAGE22
ა/ნ – GE98KS00000003400800017
საიდენტიფიკაციო კოდი - 245626684
დირექტორი
ნოდარ კონცელიძე

Adjara Waste Management Company LLC

Подписано цифровой подписью: Adjara Waste Management Company LLC
Дата: 2022.04.07 09:45:37 +04'00'

„მიმწოდებელი“

შპს ჰელიოსი
მისამართი: ქ.ბათუმი,
საბანკო რეკვიზიტები:
სს „თი ბი სი ბანკი“
ბანკის კოდი – TBCBGE22
ა/ნ – GE51TB7562936020100005
საიდენტიფიკაციო კოდი -445431541
დირექტორი
ზვიად მგელაძე

დანართი 1
2022 წლის 6 აპრილი N24 ხელშეკრულებაზე

N	CPV კოდი	დასახელება	რ-ბა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)
1	31300000 31321000	იზოლირებული კაბელი 2 X 2,5	100 მეტრი	2,5	250
2	31300000 31310000	როზეტი	15 ც	2.5	37,50
3	31500000 31518200	სანათი მოწყობილობა - სააავარიო სანათი (ფანარი)	15 ც	32	480
4	31600000 31651000	საიზოლაციო ლენტი	2 ც	2	4
5	31700000 31711200	ელექტრონული ტაბლო	4 ც	11.5	46
6	31700000 31711200	ელექტრონული ტაბლო	4 ც	15	60
7	ჯამი		877.50 ლარი		

შპს ჰელიოსი

ს/კ 445431541